KSANI GORGE AND THE HOLY LAND[1]
ქსნის ხეობა და წმინდა მიწა

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History, Professor of Gori State University,
#53, Chavchavadze st., 1400, Gori, Georgia, +995577240088,
giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

Abstract: In the current article, we try to analyze the relations of the Georgian noblemen with the Holy Land, in particular the relations of Shida Kartli noblemen. In the Middle Ages, Georgian nobles had a very active relationship with the Holy Land. Not only the royal government of Georgia paid great attention to the sanctuaries in Jerusalem, but also various feudal clans, which is proven by their donations to the monasteries founded by Georgian clerics, by the multiple financial aid sent from Georgia, and by the estates given to religious centers on the territory of our country. Jerusalem Jvari Monastery (Jerusalem Monastery of the Cross) had its properties in different parts of the country, including in Shida Kartli, namely village In Dirbi, where was the residence of the Archimandrite of the Jerusalem Cross Monastery. According to Vakhushti Batonishvili, the leader in Dirbi "sends the harvest as silver to Jerusalem". Dirbi was donated by Simon I (1556-1600 AD) to the Jerusalem Cross Monastery, this donation was renewed first by Kartli King Rostom, and later by Vakhtang V, and finally by Erekle II (in 1786). In Shida Kartli, the village of Tergvisi belonged to the Holy Sepulcher of the Savior, which King Luarsab II of Kartli donated as a place of worship for Christians in 1624. A slightly later document (1640) reveals that Tergvisi was supervised by a Georgian clergyman who served at Christ's tomb. The territory surrounding the village of Kheiti belonged to the Holy Sepulcher of the Savior in the Didi Liakhvi gorge (the village of Kheiti is adjacent to the village of Nikozi). A document dated 1624 reveals that the area at the end of Kheiti ("Lands at the end of Rkhuiti") was donated to the Dagladzes' for the tomb of Christ. The estates of the Dagladzes, the feudal lineage of the Dogladzes, were owned by the Tavkhelisdzes, as can be seen from the deed given by Khela Tavkhelisdze, the patron of Tiri Monastery in 1432. The feudal house of the Dogladzes collapsed at the beginning of the 15th century, and their estates were taken over by neighboring nobles. In the agape preserved in the Cross Monastery of Jerusalem, there is very interesting information about the preserved Georgian dignitaries who provided assistance to this outstanding religious center in the Holy Land.

Keywords: Holy Land, Georgian Nobles, Shida Kartli, Jerusalme Monastery of the Cross, Georgian clerics.

[1] The current research was conducted within the framework of the project "Historical representation of the occupied territories in Shida Kartli (Ksani Gorge)" funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Grant Agreement N OTG-I-22-254. The members of the project scholar team Dr. Ioseb Alimbarashvili, Dr. Davit Akhlouri, Dr. Tamila Koshosridze and Dr. Vladimer Gunashvili had contributed to the production of the given article.

გიორგი სოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53
ORCID:0000 -0002-2406-8662
giorgisosiashvili@gmail.com
+995577240088

აბსტრაქტი: შუა საუკუნეებში ქართველ წარჩინებულებს ძალზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ წმინდა მიწასთან. იერუსალიმში არსებული სავანეებისადმი არამარტო საქართველოს სამეფო ხელისუფლება იჩენდა დიდ ყურადღებას, არამედ სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოც, რაც დასტურდება მათ მიერ ქართველი სასულიერო მოღვაწეების მიერ დაარსებული მონასტრებისადმი ბოძებული შესაწირით, საქართველოდან გაგზავნილი მრავალჯერადი ფულადი დახმარებით, თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სასულიერო ცენტრებისათვის გადაცემული მამულებით. მაგ. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს თავისი ქონება გააჩნდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შიდა ქართლში, კერძოდ, სოფ. დირბში, სადაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დირბში მყოფი წინამძღვარი "მოსავალს ვერცხლად გზავნის იერუსალემს“. დირბი ჯერ კიდევ სიმონ I-ს (1556-1600 წ.წ.) შეუწირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის, ეს შეწირულება ჯერ ქართლის მეფე როსტომმა, ხოლო მოგვიანებით, ვახტანგ V-ემ, ბოლოს კი ერეკლე II-ემ (1786 წელს) განაახლეს. შიდა ქართლში მაცხოვრის წმინდა საფლავს ეკუთვნოდა სოფელი თერგვისი, რომელიც ქართლის მეფემ ლუარსაბ II-ემ ქრისტიანთა სათაყვანებელ ადგილს 1624 წელს შესწირა (ნ. ხუციშვილი, 2006: 41). ოდნავ გვიანდელი დოკუმენტით (1640 წ.) ირკვევა, რომ თერგვისს ქრისტეს საფლავის მსახური ქართველი სასულიერო პირი მეთვალყურეობდა. მაცხოვრის წმინდა საფლავს დიდი ლიახვის ხეობაში ეკუთვნოდა სოფელ ხვითის მიმდებარე ტერიტორია(სოფელი ხვითი სოფ. ნიქოზს ემეზობლება). 1624 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ხვითის ბოლოს არსებული ტერიტორია("რხუითის ბოლოს მიწები") დაღლაძეებს შეუწირავთ ქრისტეს საფლავისთვის. დაღლაძეების, იგივე დოღლაძეების ამოვარდნილი ფეოდალური საგვარეულოს მამულები როგორც 1432 წლის თირის მონასტრისადმი მოლარეთუხუცეს ხელა თავხელისძის მიერ ბოძებული სიგელიდან ირკვევა, თავხელისძეებს ჰქონდათ საკუთრებაში. დოღლაძეების ფეოდალური სახლი XV საუკუნის დასაწყისში ამოვარდა და მათი მამულები მეზობელმა წარჩინებულებმა დაისაკუთრეს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული აღაპებში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული ქართველი წარჩინებულების შესახებ, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებულ ამ გამორჩეულ სასულიერო ცენტრს დახმარებას უწევდნენ.

საკვანძო სიტყვები: წმინდა მიწა, ქართველი დიდგვაროვნები, შიდა ქართლი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ქართველი სასულიერო პირები.

შესავალი: შუა საუკუნეებში ქართველ წარჩინებულებს ძალზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ წმინდა მიწასთან. იერუსალიმში არსებული სავანეებისადმი არამარტო საქართველოს სამეფო ხელისუფლება იჩენდა დიდ ყურადღებას, არამედ სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოც, რაც დასტურდება მათ მიერ ქართველი სასულიერო მოღვაწეების

მიერ დაარსებული მონასტრებისადმი ბოძებული შესაწირით, საქართველოდან გაგზავნილი მრავალჯერადი ფულადი დახმარებით, თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სასულიერო ცენტრებისათვის გადაცემული მამულებით. მაგ. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს თავისი ქონება გააჩნდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შიდა ქართლში, კერძოდ, სოფ. დირბში, სადაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დირბში მყოფი წინამძღვარი "მოსავალს ვერცხლად გზავნის იერუსალემს" (ს.ყაუღჩიშვილი, 1973: 374). დირბი ჯერ კიდევ სიმონ I-ს (1556-1600 წ.წ.) შეუწირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის, ეს შეწირულება ჯერ ქართლის მეფე როსტომმა, ხოლო მოგვიანებით, ვახტანგ V-ემ, ბოლოს კი ერეკლე II-ემ (1786 წელს) განაახლეს. (ნ. ხუციშვილი, 2006:28-29). შიდა ქართლში მაცხოვრის წმინდა საფლავს ეკუთვნოდა სოფელი თერგვისი, რომელიც ქართლის მეფემ ლუარსაბ II-ემ ქრისტიანთა სათაყვანებელ ადგილს 1624 წელს შესწირა (ნ. ხუციშვილი, 2006: 41). ოდნავ გვიანდელი დოკუმენტით (1640 წ.) ირკვევა, რომ თერგვისს ქრისტეს საფლავის მსახური ქართველი სასულიერო პირი მეთვალყურეობდა (ნ. ხუციშვილი, 2006: 126). მაცხოვრის წმინდა საფლავს დიდი ლიახვის ხეობაში ეკუთვნოდა სოფელ ხვითის მიმდებარე ტერიტორია(სოფელი ხვითი სოფ. ნიქოზს ემეზობლება). 1624 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ხვითის ბოლოს არსებული ტერიტორია ("რხუითის ბოლოს მიწები") დაღლაძეებს შეუწირავთ ქრისტეს საფლავისთვის. დაღლაძეების, იგივე დოღლაძეების ამოვარდნილი ფეოდალური საგვარეულოს მამულები როგორც 1432 წლის თირის მონასტრისადმი მოლარეთუხუცეს ხელა თავხელისძის მიერ ბოძებული სიგელიდან ირკვევა, თავხელისძეებს ჰქონდათ საკუთრებაში (გ. სოსიაშვილი, 2021: 150). დოღლაძეების ფეოდალური სახლი XV საუკუნის დასაწყისში ამოვარდა და მათი მამულები მეზობელმა წარჩინებულებმა დაისაკუთრეს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული აღაპებში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული ქართველი წარჩინებულების შესახებ, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებულ ამ გამორჩეულ სასულიერო ცენტრს დახმარებას უწევდნენ (გ. სოსიაშვილი, 2012: 46-55).

მეთოდები: მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებული კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ-შედარებით ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

მსჯელობა. როგორც ირკვევა, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრისადმი ყურადღებას იჩენდნენ ქსნის ერისთავებიც, რაც დასტურდება ჯვრის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში არსებული ერთ-ერთი აღაპით, სადაც შალვა ქვენიფნეველი იხსენიება: "სამარიტელისა ოთხშაბათსა წირვაი და აღაპი საუკუნო ერისთვისა შ(ა)ლვ(ა)ს ქენიფნვ(ე)ლსა, შვილსა პიპასი და მისი მეუღლ[ი]სა თამარისი, შეუნდვენ ღმერთმან, და ვი[ნ]ცა შეცვალოს კრულმცა" (ე. მეტრეველი, 1962: 75, # 75). ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე "ძეგლი ერისთავთას " მიხედვით შალვა ქვენიფნეველი XIV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე იყო. იგი მხარს უჭერდა დავით VIII-ესთან დაპირისპირებულ ვახტანგ III-ეს, ეს ერთგულება როგორც ჩანს შალვას სათანადოდ დაუფასდა და მას ვახტანგ III-ემ მამულები უბოძა: "..მაშინ წარვიდა ყოველი სპაი სპარსთაი, მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდოი, გაგასძენი, მლეთე, არაგვეთი, ხადოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძიგნაკორნაი, დიღვამი, გავაზი, აწრისხევი, ბეხუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა" (თ. ჟორდანია, 2018: 7).

შალვა ქვენიფნეველი მხარში უდგა გიორგი V ბრწყინვალეს. სწორედ შალვა ქვენიფნეველის სახელს უკავშირდება დვალეთში ლაშქრობა და ურჩი დვალების შემომტკიცება (ვ. ღუნაშვილი, 2007: 68). ჯვრის მონასტრის ტიშენდორფისეულ ნუსხაში არსებული აღაპი დაწესებულია შალვა ქვენიფნეველის, მისი შვილის პიპას და პიპას მეუღლის თამარის სახელზე. ჩვენს მიერ დასახელებული "ძეგლი ერისთავთა" ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელ მხოლოდ ერთ პიპას იცნობს. იგი შალვა ქვენიფნეველის შვილი იყო და სწორედ მას ხვდა წილად პატივი დიპლომატიური მისიით წმინდა მიწაზე წასულიყო. იგი როგორც აღვნიშნეთ შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ. "ძეგლი ერისთავთაში" ვკითხულობთ: "მოკვდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგველი ერისთავად" (თ. ჟორდანია, 2018: 8). პიპა შალვა ქვენიფნეველის უმცროსი ძე იყო, რომელიც გიორგი V-ის კარზე დიპლიმატიურ მოღვაწეობას ეწეოდა(ამაზე ქვემოთ). შალვა ქვენიფნეველის უფროსი ძის ლარგველის შემდეგ ერისთავი მისი უხუცესი ძე ვირშელი გახდა (თ. ჟორდანია, 2018: 8). ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებში კიდევ ერთი შალვა ქვენიფნეველი იხსენიება. 1470 წლით დათარიღებული გუჯარით შალვა ქვენიფნეველმა ლარგვისის მონასტერს მამულები შესწირა. დოკუმენტში ვკითხულობთ: "...აღვაშენენ სოფელნი: მეჯუდის ხევს სოფელი ახალუბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამითგან იქ კაცი არ სახლებულიყო, შემოუკრიბნენ მამულნი და უჩინე მზღვარი ყოვლისა კაცისაგან უსარჩლელი; აღვაშენე ზუარი და გაუჩინენ სავენახხენი. აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო. აგრეთვე ქსანზედა სოფელი ჰერედა ოხხერი აღვაშენე და ზუარი ქურთა და სხუა.... " (ე. თაყაიშვილი, 1910: 557-561). ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებულ შალვა ქვენიფნეველს გაერისთავებამდეც შეუწირავს იკორთის მონასტრისთვის ქონება. ჟორდანიას მიერ იკორთის ტყავის ზატიკზე ამოკითხული 1446 წლის წარწერაში ვკითხულობთ: "სახელითა ღ_თისათა...მიქაელ და გაბრიელისითა: აღმძრა მე სიყუარულმან სამსახურებელმან ტაძრისა თქუენისამან, წ-ნო მთავარანგელოზნო მიქაელ და გაბრიელ, მე ყოველთა კაცთაგან უნარჩევესმან ცოდვილმან, ერისთავმან ძემან ქვენიფნეველისამან შალვა, რათამცა შევსწირეთ სოფელი მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს ერთითა ვენაÃითა, სასახლითა და სამის დღის საÃნავითა და დავაწერინ(ენ) წ-ნი ესე ზატიკნი ყოვლითურთ სრულნი და უნაკლულონი და და ერთი დავითი, ორი თუეე: ფ/ბრვლი და მარტი: რათა გვხსნას საუკუნეა სატანჯველთაგან და ღირს გუყვნეს...ამას გარეთ სამი ლიტრა ცÂლი ფლავს, ვანთით(ვანთაით?) მოიღებდენ ჩე_ა აღაპსა შ_ა" (თ. ჟორდანია, 2018: 358). თუმცა, ვფიქრობთ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში მოხსენიებული შალვა არის XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწე, რადგან მისი ძე აღაპში მოხსენიებული პიპა "ძეგლი ერისთავთას" მიხედვით გიორგი V – ის მიერ დიპლომატიური მისიით იყო წარგზავნილი წმინდა მიწაზე და შესაძლებელია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მისი სტუმრობის დროს დაწესდა ზემოთ მითითებული აღაპი.

როგორც ჩანს, ქსნის ერისთავთა ფეოდალურმა სახლმა, კერძოდ, პიპამ და მისმა მეუღლემ თამარმა გარკვეული შესაწირი გაიღეს ჯვრის მონასტრისთვის. სავარაუდოდ, აღაპი დაწესდა არა შალვას მიერ, არამედ პიპას ძალისხმევით. სხვა შემთხვევაში, აღაპში შალვას სხვა შვილებიც იქნებოდნენ მოხსენიებულნი. ცნობილია, რომ წმინდა მიწაზე მყოფი ქართველების მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XIII საუკუნის 70-იან წლებში. ეს განპირობებული იყო ბაჰარელი მამლუქების და მონღოლების მწვავე დაპირისპირებით. ქართველები მონღოლების მხარეს იბრძოდნენ, რის გამოც ზემოთ მითითებულ პერიოდში მამლუქებმა შეიხ ხიდრის ბრძანებით იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი დაარბიეს და მეჩეთად გადააკეთეს. მამლუქების თავდასხმას შეეწირა ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 130). როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს: "დატყვევებული" ჯვრის მონასტრის დახსნა საქართველოს ხელისუფლების, იერუსალიმის ქართული

კოლონიის და თვით ჯვრის მონასტრის ძმობისთვის გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა "(ე. მამისთვალიშვილი, 2016: 131). 1299 წელს ქართლის მეფემ ვახტანგ III დემეტრე II-ის ძემ ქართველთა ჯარით მონაწილეობა მიიღო ილხანთა ჯარების მიერ იერუსალიმის აღებაში. ქართველ მეფეს დროებით გაუთავისუფლებია წმ. ჯვრის მონასტერი და მატერიალურადაც დახმარებია. თუმცა ქართველ-ილხანთა ჯარის იერუსალიმის დატოვების შემდეგ ჯვრის მონასტერი ისევ მუსლიმებმა დაისაკუთრეს. (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 131-132). ეგვიპტის სულთანთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა 1310 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დავით VIII-ის მიერ, ასევე 1311 წლის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინეს I-ის (1293-1327 წ.წ.) ძალისხმევით 1310-1311 წლების მიჯნაზე ჯვრის მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 133-135). თუმცა, როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, გიორგი ბრწყინვალის გამეფებისთანავე სიტუაცია შეიცვალა, ეგვიპტის სულთანმა იმის გამო, რომ საქართველოს მეფეს ილხანებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, იერუსალიმში ქართველების შევიწროება დაიწყო. გიორგი ბრწყინვალე ილხანთა ძალის გამოყენებით, ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობის მუქარით ეგვიპტის სულთანს აიძულებდა დათმობაზე წასულიყო და ქართველებისთვის წმინდა ადგილები დაებრუნებინა, თუმცა, მალე მიხვდა, რომ ურთიერთობის დასტაბილურება მხოლოდ დიპლომატიური გზით იყო შესაძლებელი და ეგვიპტის სულთნის კარზე თავისი ელჩი გაგზავნა (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 138). ამის შესახებ ერთადერთი ქართული წყარო გვიამბობს, ეს არის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე "ძეგლი ერისთავთა“. ქსნის საერისთავოს მატიანის ავტორის ცნობით ეგვიპტეში გიორგი ბრწყინვალის ელჩი შალვა ქვენიფნეველის ძე პიპა იყო, რომელსაც თან წაუყვანია დეკანოზი იოანე ბანდასძე: "ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაი, რომელსა ერქუა პიპაი, გზასა Xმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა; და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე, და მივიდა პიპაი წინაშე ნისრელისა, კლიტენი მივიდა პიპაი ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხხა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისხევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღუარობაი ნუვის ხელ-ეწიფების თვნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური.... (თ. ჟორდანია, 2018: 8). [მოძღუართ-მოძღუარი] ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისაი და აღსულებაი ყოვლისა სათხოვლისა მისისაი. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა" (შ. მესხია, 1954: 350). შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთი ვაჟი პიპა, "ძეგლი ერისთავთას" გარდა როგორც ვნახეთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპშიც იხსენიება. ჩვენი აზრით, ჯვრის მონასტრის აღაპს პიპას მამის შალვა ქვენიფნეველის სახელი შემთხვევით არ შემოუნახავს. როგორც ჩანს იგი წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა სავანეს დიდ დახმარებას უწევდა. მისი ვაჟი პიპა, როგორც ითქვა დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობდა და ამ მხრივ, მას დიდი გამოცდილება ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გიორგი V ეგვიპტის სულთანთან წმინდა მიწაზე არსებული ქართველთა მონასტრების დახსნის მიზნით მოლაპარაკებაში არ ჩართავდა. პიპას ზიარება ქრისტეს საფლავზე მიუღია, აქვე უკურთხებიათ მოძღუართ-მოძღვრად იოვანე ბანდასძე, რომელიც თან წაჰყვა ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად წასულ პიპას. დეკანოზი იოვანე ქვენიფნეველების ოჯახის წევრი, ან მათი ახლო ნათესავი იყო. იგი ქართული სავანეების ზედამხედველად დანიშნეს. როგორც აღვნიშნეთ ტექსტი ნაკლულია და თუ კარგად დავუკვირდებით ამ ადგილს: "და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა

ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმის Xევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღუარობაი ნუვის Xელ-ეწიფების თVნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური." აქ უნდა იგულისხმებოდეს, რომ იერუსალიმში მყოფი იოვანე ბანდასძე პარალელურად ლარგვისის მონატრის წინამძღვრად რჩებოდა. ე. მამისთვალიშვილის აზრით პიპამ არა ერთი სიწმინდის-ქრისტეს საფლავის კლიტე, არამედ მრავალი სიწმინდის კლიტე მოიპოვა ეგვიპტის სულთანთან მიღწეული შეთანხმებით (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 139). მას საქართველოში წმინდა ნაწილები და ხატებიც წამოუღია და საქართველოში ხმელეთის გზით დაბრუნებულს გიორგი V-სთვის "იერლაყი შეწყალებისაი" გადაუცია. როგორც ჩანს, წმინდა მიწაზე ყოფნის დროს პიპა ესტუმრა ქართველთა ჯვრის მონასტერს და სწორედ ამ დროს შეიქმნა აღაპი პიპას მამის შალვა ქვენიფნეველის, თავად პიპას და პიპას მეუღლის თამარის სახელზე. საინტერესოა, რომ ზემოთ მითითებულ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის აღაპში მოხსენიებულია მხოლოდ შალვა ქვენიფეველი, მისი ძე პიპა და პიპას მეუღლე თამარი. დიდი ალბათობით, ამ დროისთვის შალვას მეუღლე გარდაცვლილი იყო (თ. ჟორდანია, 2018: 7). აღაპი კი ცოცხალი შემწირველების სახლზე დაწესდა. როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს: "სულთა მატიანეებსა და მოსახსენებლებისაგან განსხვავებით აღაპი იწერებოდა შემომწირველისაგან მიღებული შეწირულებისთანავე. აღაპი ერთგვარად იურიდიული დოკუმენტია, დადებული მოსანტრის კრებულსა და შემომწირველს შორის" (ე. მეტრეველი, 1962: 13). ეჭვგარეშეა, რომ ამ დროს შალვას მეუღლე აღარ ჰყავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სახელზეც დაწესდებოდა აღაპი. როგორც ირკვევა, შალვა ქვენიფნეველი მარტო იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს როდი ეხმარებოდა. ქსნის ერისთავს შალვას და მის შთამომავლებს იერუსალიმში წმინდა დიმიტრის მონასტერი აუგიათ. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის შუა წლებში წმინდა მიწაზე იმოგზაურა. ქართველი პილიგრიმი წერს: "წმინდისა დიმიტრის მონასტერი (აუშენებია ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს, ივანეს და მათი მოXსენება მუნდა არს" (ტიმოთე გაბაშვილი, 1956: 81). როგორც ტიმოთე გაბაშვილის ცნობიდან ჩანს, იერუსალიმის წმინდა დიმიტრის სახელობის ტაძრის მშენებლობა შალვა ერისთავმა დაიწყო და მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს, მათ შორის ვირშელმა. ცნობილია, რომ ვირშელი შალვა ერისთავის შვილიშვილი იყო და ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეს თანახმად ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პიპას ელჩობის დროს სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქსნის საერისთავოს. მამის-შალვას მიერ დაწყებულ წმინდა დიმიტრის მონასტერს იერუსალიმში პიპა აუცულებლად მოინახულებდა და როგორც ჩანს, ვირშელმა სწორედ მისი დახმარებით გადასცა მონასტრის მშენებლებს ფულადი თანხა. ვირშელ ერისთავის შემდეგ წმინდა მიწაზე არსებული ტაძრის მშენებლობა მის ძეს იოვანე ერისთავს (1373-1390 წ.წ.) დაუსრულებია. (ვ. ღუნაშვილი, 2007: 79, 88, 89). ტიმოთე გაბაშვილს იერუსალიმის წმინდა დიმიტრის ტაძარში ქსნის ერისთავთა მოსახსენებლები უნახავს, თუმცა საინტერესოა, რომ მოსახსენებლებში მისი გადმოცერმით პიპა არსად გვხვდება. პიპას გაგზავნა ელჩად გიორგი ბრწყინვალეს მიერ ეგვიპტის სულთანთან წმინდა მიწის ქართული სავანეების ირგვლივ დაწყებულ მოლაპარაკებების მიზნით შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს პიპას ოჯახს წმინდა მიწასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ისინი საკუთარი სახსრებით მონასტერსაც აშენებდნენ, პიპას დიპლომატიური გამოცდილებაც უდავოდ ექნებოდა, სხვა შემთხვევაში საქართველოს მეფე ასეთი დიდი საკითხის მოგვარებას არ მიანდობდა.

როგორც ირკვევა, ქსნის საერისთავოს სახლის მომდევნო საუკუნეებშიც ზრუნავდა წმინდა მიწაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისთვის. აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში იხსენიება ვირშელ ერისთავი: "[თუესდა ფებერვალსა ბ] ამასვე დღ(ე)სა წირვა და აღაპი ერისთავისა ვირშელისა, შეუნდვენ ღმერთმან" (ვ. ღუნაშვილი, 2007: 196). ამ აღაპთან დაკავშირებით ე. მეტრეველი წერს: "XXV ტაბულის ხუთი აღაპი

დაწერილია არაკალიგრაფიული კუთხური ნუსხურით. ეს ხელი XIV-XV საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება. ამის მიხედვით აღაპის ვირშელ ერისთავი ვირშელ III უნდა იყოს-XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის 20-იანი წლების მოღვაწე" (ვ. ღუნაშვილი, 2007: 162). მითითებულ ქსნის ერისთავს ვირშელ III-ეს (1390-1422 წ.წ.) საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ვირშელის შესახებ "ძეგლი ერისთავთა"-ში ვკითხულობთ: "და შემდგომად (იგულისხმება ქსნის ერისთავი იოანე-გ.ს) დაჯდა ძე მისი ვირშელ. იყო კაცი მშვენიერი და სრული ყოვლითა კეთილითა, ბრძენი, გონიერი მშვიდი, წყნარი, უშურველი, სამართლის მოქმედი, მოწყალე, საწადელ, სავვარელ მოყუარეთა და ერდგულთა, საზარელ და საშინელ ურჩთა და წინააღმდგომთა. ხოლო იყო ჭაბუკი-ჰასაკითა და უუბრძნეს მოხუცებულთა სათნოებითა, ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული. რამეთუ კარსა მისსა იყო გალობა და ლოცვა დაუცადებელი, და პირველსავე წელსა ერისთაობისასა აღაშენა ქვიტკირითა ეკლესია წმიდისა ნიკოლოზისა" (თ. ჟორდანია, 2018: 13). ზემოთ წარმოდგენილი აღაპიდან ჩანს, რომ ვირშელი არა მხოლოდ ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზე ზრუნავდა, არამედ წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა ჯვრის მონასტერსაც დახმარებია. ჯვრის მონასტრის აღაპებში ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის კიდევ ერთი წარმომადგენილი ქვენიფნეველ ამილახორი იხსენიება: "[თუესა აგVსტოსა ი და ია] 290 V. ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვა და აღ(ა)პი საუკუნოI ამ(ი)ლ(ა)ხ(ო)რისა ქუნიფვნ(ე)ლისა, გ(ა)ნ(უ)ს(უე)ნ(ო)ს ღმერთმან" (ე. მეტრეველი, 1962: 106). აღნიშნულ აღაპთან დაკავშირებით ე. მეტრეველი წერს: "წირვა და აღაპი ქვენიფნეველ ამილახორისთვის. ქვენიფნეველი ამილახორი გიორგი ანდრონიკეს შვილთან ერთად მოიკლა თურქთაგან 1373 წელს" (ე. მეტრეველი, 1962: 177). უნდა აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძე "პროვივინციის მეფე" გიორგი ანდრონიკეს შვილს, რომელიც ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპშიც იხსენიება (ე. მეტრეველი, 1962: 105). იმ გიორგისთან აიგივებს, რომელიც "ძეგლი ერისთავთას"-ს მიხედვით 1373 წელს ქვენიფნეველთან ერთად თურქებმა მოკლეს (ს. კაკაბაძე, 1914: 4-5). ამის შესახებ ქსნის ერისთავთა მატიანე წერს: "ამათ ჟამთა მოვიდეს [თურქნი] წინამძღომითა, ბაედარის ძის ხოსიასითა, და მოკლეს მეფე გიორგი, და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართუუელნი და მუნვე მოვიდა(მოიკლა) ერისრავი(უნდა ეწეროს ერისთავი-გ.ს.) ქვენიფნეველი ქ-კს Iა. &ქუოტ“ (თ. ჟორდანია, 2018: 7). გიორგი ანდრონიკეს ძის და ქვენიფნეველ ამილახვრის აღაპები ჯვრის მონასტრის X ტაბულის აღაპებშია გაერთიანებული. ქვენიფნეველის აღაპი მოსდევს გიორგი ანდრონიკეს ძის აღაპს, რის საფუძველზეც ე. მეტრეველი წერს: "აღაპში მოხსენიებული ამილახორ ქვენიფნეველი უნდა იყოს იგივე ქვენიფნეველი, რომელიც "ძეგლი ერისთავთას"მიხედვით გიორგი მეფესთან ერთად იქნა მოკლული თურქთაგან... " (ე. მეტრეველი, 1962: 116). ე. მეტრეველის დაკვირვებით "პარიზის ქრონიკას" შემოუნახავს გიორგი მეფის მოკვლის თარიღი 6 აგვისტო. ჯვრის მონასტრის სვინაქსარში მეფეთ მეფე გიორგი ანდრინიკეს შვილის აღაპი სწორედ 6 აგვისტოსაა განწესებული: "ფერისცვალებასა წირვა და აღაპი მეფეთ მეფისა ანდრონიკეს შვილისა გიორგისი, განუსუეენოს ღმერთმან" (ე. მეტრეველი, 1962: 285). ე. მეტრეველი ასეთ დასკვნას აკეთებს: "ფერისცვალების დღე-6 აგვისტოა, მაშასადამე, გიორგი ანდრონიკეს შვილის ეს აღაპი მისი გარდაცვალების დღეს არის გაჩენილი. ამგვარად "ძეგლი ერისთავთას" მეფე გიორგი და სვინაქსარის გიორგი ანდრონიკეს შვილი ერთი და იგივე პირია" (ე. მეტრეველი, 1962: 116). რა კავშირი ჰქონდათ "პროვინციის მეფეებს " და ქსნის ერისთავებს? აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის შუა წლებში პროვინციის მეფეებს სამფლობელო მოიცავდა: ჯავახეთს, ალასტანითურთ, ქვემო ქართლის, სომხითის, შიდა ქართლის-ცხრაზმის საერისთავოს ჩათვლით არსებულ ტერიტორიებს (ვ. ღუნაშვილი, 2007: 87). როგორც ირკვევა, ალასტანელებს ხელი მიუწვდებოდათ მერმინდელ ქსნის საერისთავოს მამულებზე, მათ შორის გვერდისძირის და ასევე პატარა ლიახვი ზოგიერთ სოფელზე. ანდრონიკე მეფეს ზემოთ

მითითებული ამილახორ ქვენიფნეველის ერისთავობამდე საერისთავოს სათავეში მყოფ წითლოსან ლარგველის ძეს ანდრონიკე მეფისაგან "ქართლის მუხის ძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯუარ-ბაკურისუბანი: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღ(მრ)თისაითა აფხაზთა, ქართველ/თა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე/ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლე/თისა Ãელმძიფედ-ა-მპყრობელისა. მოვიდა ჩ{უ}ენს-ა- წ(ინა)შე ქ{უე}ნაფნაველი, ლარგ{უ}ელისა შვილი წითლოსანი/ და გ{უ}ეაჯა და მოგ{უ}აÃს{ე}ნა, რაითამცა ქართლის მუხის/ ძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯ{უა}/რ-ბაკურ{ი}ს უბანი მისთ{უ}ისმცა მიგ{უ}ებოძნეს. და/ გ{უ}ეაჯერა ღ(მერ)თმან და ვისმინეთ აჯაი ქ{უ}ენიფნ{ა}ველისა/ წითლოსანისი, ვინადგან მის ცოლისძმის მუხისძის/ სალარისცა მისთ{უ}ის და მისთა დისწულთათ{უ}ის ეანდე/რძა მისი მამული, ჩ{უ}ენცა შევიწყალეთ და მიუბ{ო}ძენით/ ქართლის სოფელნი: კარბი და გარეჯ{ურ}არ-ბაკურის უბანი/ მისითა სამართლი{ა}ნითა მძღვრითა მკ{უ}დრად, სამამულო/დ, შეუვ{ა}ალად და შეუცვალებლად." ჰქონდენ/, ქ{უ}ენაფნაველის წითლოსანსა, შვილთა/ და მამავალათა მისთა ყოველთავე ქართლის/სოფელნი: კარბი და გარეჯ{უ}არ-ბაკურისუბანი/ მათითა სამართლი{ა}ნითა მძღვრითა, მთითა, ბარითა, ტყითა,/ ველითა, ვენაÃითა, წყლითა, წისქ{უი}ლითა, ჭა/ლითა, სათიბითა, სანადიროთა მკ{უ}დრად, სა/მამულოდ, შეუვ{ა}ლად, მათითა საÃმარითა და უÃმარითა ერთობ ყ{უ}ელაითა" (ე. თაყაიშვილი, 1909: 11-12, დოკ. 7). სწორედ ამ დოკუმენტში მოხსენიებული ანდრონიკეს ვაჟი გიორგი დაიღუპა(ქვენიფნეველთან ერთად) 1373 წელს, თურქებთან ბრძოლაში. „პროვინციის მეფეებისაგან" მათ დაქვემდებარებაში მყოფ ქსნის ერისთავებს სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობა ჰქონდათ ბოძებული(მათ შორის ამილახვრობა), ამაზე „ძეგლი ერისთავთა" დუმს, თუმცა როგორც მივუთითებდით, ძალზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცულმა ამილახორ ქვენიფნეველის აღაპმა.

ამდენად თუ დავუკვირდებით ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებს, ძალზე ცხადად იკვეთება ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის მჭიდრო ურთიერთობა წმინდა მიწასთან. ეს ურთიერთობა სავარაუდოდ სათავეს იღებს შალვა ქვენიფნეველისაგან, რომელსაც იერუსალიმში ტიმოთე გაბაშვილის ცნობით წმინდა დემეტრეს სახელობის ტაძრის მშენებლობა დაუწყია. ეს გააგრძელეს მისმა შვილიშვილმა ვირშელმა, ხოლო შემდეგ ვირშელის ვაჟმა იოვანემ. იერუსალიმში არსებულ ქართველთა წმინდა ჯვრის მონასტერს დახმარებას უწევდა ვირშელის მეორე ვაჟი ქვენიფნეველი, რომლის გარდაცვალებიდან ძალიან მალე, სამიოდე დღის შემდეგ 1373 წელის 9 აგვისტოს აღაპი დააწესეს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეხმარებოდა ვირშელ III (1390-1422 წ.წ.), რასაც მის სახელზე დაწესებული აღაპი ადასტურებს. წმინდა მიწაზე არსებულ ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი კი განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა შალვა ქვენოფნეველის ერთ-ერთ ვაჟს-პიპას, გიორგი V ბრწყინვალის სამსახურში მყოფ დიპლომატს, რომელმაც ქართველთა სავანეების დახსნის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა და ჯვრის მონასტერს მატერიალურადაც დაეხმარა. რაკი ქსნის ერისთავთა წმინდა მიწასთან ურთიერთობის საკითხზე ვმსჯელობთ, ძალზე საინტერესოა იმ სასულიერო პირის ვინაობის გარკვევა, რომელიც ელჩობისას თან გაჰყვა პიპას. შორეულ და დამქვანცველ მოგზაურობისას, პიპამ ჩვენი აზრით თავის ოჯახთან ძალზე დაახლოვებული დეკანოზი იოანე ბანდასძე წაიყვანა. ეგვიპტის სულთანთან წარმატებული მოლაპარაკების და ქართული სავანეების დახსნის შემდეგ პიპამ იოვანესთან ერთად მოილოცა ქრისტეს საფლავი, "ჟამი აწირვა, ეზიარა დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად." ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანემ შემოგვინახა პიპას მხლებელი და შემდეგ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დანიშნული დეკანოზის იოავანეს გვარი-ბანდასძე. აღნიშნული გვარის წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის და, ზოგადად, საერისთავოს ისტორიის შექმნა. მის

ავტორად ავგაროზ ბანდაისძეს მიიჩნევენ და "ძეგლი ერისთავთას" შექმნას ქსნის ერისთავების კარის მოძღვარს, ლარგველ მწიგნობარს და მხატვარს ავგაროზ ბანდაისძეს მიაწერენ. იგი ვირშელ III-ის (1348-1400 წ.წ.) დროს მოღვაწეობდა (შ. მესხია, 1954: 321). ბანდაისძეების, იგივე ბანდასძეების გვარი ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქსნის ერისთავების ფეოდალურ სახლთან. "ძეგლი ერისთავთას" ავტორი ეხება რა ქსნის ხეობაში როსტომის გაერისთავებას, აღნიშნავს: "მაშინ თქუეს ყოველთა ცხრა-ძმის-ხხეველთა: "არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი(საუბარია როსტომზე-გ.ს.), არამედ ვყოთ ყოველი, რაიცა უნდეს მას. "მაშინ რქუა მამასახლისმან ლარგვისისამან ხუციან-დაბის-ძემან: "უკეთუ გნებავს მკვიდრ ყოფა ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს, და სოფელნი ესე, რომელნი ღვთივ გვირგვინოსანი იყო, იუსტინიანე აღმაშენებელისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს" (ჟორდანია, 1897:3). დიდი ალბათობით ტექსტში გადაწერის დროს არაერთი შეცდომაა გაპარული, მაგ. "მოიკლა"-ს ნაცვლად წერია მოვიდა და ა. შ. ჩვენი აზრით, აქ უნდა ეწეროს არა ხუციან-დაბის-ძე, რომელიც არაფერს გვეუბნება, არამედ ბანდასძე. არ გამოვრიცხავთ, რომ ცხრაზმის ხეველთა სახლის წარმომადგენლებმა (რომლებიც ბანდაისძეები/ბანდასძეები იყვნენ), ხელთ იგდეს ქსნის ხეობის გარკვეული ნაწილი, ქვენიფნევი და ლარგვისი. იმისათვის, რომ მათ თავიანთი წარმომავლობის განხვავებულობა წარმოეჩინათ როსტომის, ბიბილას და წითლოსანის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსვლის ვერსია შეთხზეს. ბანდასძეები ერისთავები გახდნენ. მათი საგვარეულოს წარმომადგენლები წინამძღვრობდნენ ლარგვისის მონასტერს, რომელიც ქსნის ერისთავთა საძვალედ იქცა. სავარაუდოდ, ლარგვისის მონასტრის სათავეში მყოფი დეკანოზი იოვანე ბანდასძე, რომელიც პიპას გიორგი V ბრწყინვალეს დავალებით ეგვიპტის სულთანთან მოსალაპარაკებლად გაჰყვა, ქსნის ერისთავების ოჯახის წევრი, ან მათი განაყარი იყო. იგი არა მხოლოდ ჯვრის მონასტრის წინამძღოლად, არამედ იერესალიმის ქართული სავანეების მეთვალყურედ დაინიშნა. პარალელურად იგი ლარგვისის მონასტერსაც ხელმძღვანელობდა. ამის შესახებ ერისთავ ვირშელს, სამთავნელს და საერისთავის მოსახლეობას იერუსალიმიდან საგანგებო წერილით აუწყეს. ქრისტეს საფლავზე მოძღუართ-მოძღუარად კურთხევა ჩვენი აზრით ნიშნავდა იმას, რომ იგი ახლად გამოხსნილ ქართულ სავანეებს წმინდა მიწაზე მეთვალყურეობას იოავანე გაუწევდა. რატომ აკურთხეს იოვანე მოძღვართ-მოძღვრად ქრისტეს საფლავის ეკლესიაში? ამის შესახებ საინტერესო დაკვირვება აქვს ე. მამისთვალიშვილს: "ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესია უმთავრესი მართლმადიდებლური სიწმინდე იყო და ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ხელდასხმა ამ ტაძარში დიდ პატივად ითვლებოდა, შეიძლება, იქ ცერემონიის ჩატარება იმითიც იყო განპირობებული, რომ ამ დროს ქართულ უმთავრეს მონასტერში ჯერ კიდევ მეჩეთი მოქმედებდა. ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ერთ-ერთი გერანელი პილიგრიმი გილელუს ბალდენსელელი, რომელმაც 1332 წელს მოილოცა იერსულიმი, აღნიშნავს, რომ ქართველები ფლობდნდნ ჯვარის ეკლესიას გოლგოთაზე, მაგრამ არაფერს ამბობს მათ ყოფნაზე წმ. ჯვრის მონასტერში" (ე. მამისთვალიშვილი, 2016: 143). იოვანე ბანდასძე ჯვრის მონასტრის წინამძღვრობას 1320 წლის 28 აპრილის შემდეგ შეუდგა. ეს ჩანს ეგვიპტის სულთნის მუჰამად იბნ კალავუნის 1320 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით. საიდანაც ირკვევა, რომ იოვანეს, როგორც ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარს და სხვა ქართველ სასულიერო პირებს თუ მომლოცველებს იერუსალიმში შესვლის და მშვიდი მოღვაწეობის უფლება მიეცათ: "დაიწეროს ეს სამეფო შეუვალობა წინამძღვრის, დიდებული, პატივცემული ივანესთვის, რომელიც ცნობილია, როგორც ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომ მოვიდეს წმინდა იერუსალიმში უშიშრად, მშვიდად საკუთარ თავზე და არ უყოფენ მას ცუდ საქმეს, არ მიაყენებენ შეურაცხყოფას, არც ზიანს და რაც ვნებას, არც თვითონ მას და არც მის ქონებას და არავის, ვინც მასთან ერთად მოვა მისი ხალხიდან და მისი თანამგზავრებიდან.

ნუ ექნება შიში ნურც მას და ნურც მათ. და ჩვენ გვიბრძანებია, რომ, როცა მოვა წმინდა იერუსალიმში, გაჩერდეს იმ ადგილებში, რომლებიც ქართველთა თემის ხელთაა წმინდა იერუსალიმში; და მას ექნება მფარველობა, პატივი, სიყვარული, პატივისცემა და დაუმშვიდდება გული, იქნება კმაყოფილი და მოვა ჩვენი ღვთისაგან დაცულ ქვეყანაში, რათა იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა—ზემოთ სამეფო ხელმოწერის დასმის შემდეგ, თუ ისურვებს მაღალი ალაჰი" (ჯაფარიძე, 2008: 240).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიპა ელჩობამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ქართველებმა იერუსალიმში არსებული სავანეები დაიბრუნეს. პიპას ელჩობის დროს ქართული სავანეების ზედამხედველად და ჯვრის მონასტრის წინაღძღვრად იოვანე ბანდასძე დაინიშნა. ზოგადი შეთანხმება მიღწეული იქნა, თუმცა ქართველი სასულიერო პირების და მომლოცველების იერუსალიმში შესვლის, ასევე მათი მოღვაწეობის შესახებ დაზუსტებისთვის სულთანმა ცალკე ბრძანებულება გამოსცა. ქართული მხარიდან აქ მხოლოდ იოვანე ბანდასძე იხსენიება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას პიპას ელჩობის დასრულების შემდეგ სხვადასხვა დეტალებზე თავად უნდა ეწარმოებინდა მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანთან და კოორდინაცია გაეწია წმინდა მიწაზე არსებული ქართული თემისთვის. იოვანემ ჯვრის მონასტრის წინამძღოლი პიმენ მაწყვერელი ჩანაცვლა. როგორც ირკვევა, იერუსალიმიდან დაბრუნებისას პიმენს ქართველთა ამ სავანისთვის ოჯახის წევრების სახელზე ვენახი შეუძენია. ჯვრის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეული ნუსხაში ვკითხულობთ: "თქუენ მაწყუეერელმან მთავარებისკოპოსმან და ჯუარისა მამამან პიმენ, თქუენითა საფასითა ვენახხი იყიდეთ ცხ-რშაულისა ბოლოსა და შემოსწირე ჯუარისა პატიოსნისა მონასტერსა თქუენთა დედა-მამათა, თქუენთა ძმათა და თქუენისა სულისა სამლოცველოდ, და ჩუენ გავიჩინეთ ჯუარისა მამამან იოანე მოძღუარმან და კანდელაკმან და აღდგომელ(ა)მან და სრულად საღ(მ)თომან კრებულმან ძმათა და დათა: სახარებასა და სვვნაქსარსა ზედა დალოცვა. თქუენნი დედა-მამანი და თქუენნი ძმანი და თქუენ ილოცვებოდეთ სახარებასა და სვინაქსარსა ზედა, შ(ეუნდვნე)ს ღმერთმან და შეგინდნეს ღმერთმან. ამისნი გამათავებელნი ღმერთმან აკურთხეს" (ე. მეტრეველი, 1962: 75-76, # 75).

ზემოთ წარმოდგენილ აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში პიმენი იხსენიება ჯვარის მამად, ხოლო იოვანე კი მოხსენიებულია როგორც ჯვარის მამა და მოძღვარი. ეს აღაპი იოვანეს ჯვარის მამად დანიშვნიდან ძალიან მალე დაწესდა, ვიდრე პიმენი საქართველოში თავის ეპარქიას (იგი მაწყვერელი გახლდათ) დაუბრუნდებოდა. იოვანე ბანდასძე ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპშიც იხსენიება. "[თუესა მარტსა კე] ამასვე დღესა დ(იდე)ბ(უ)ლსა ხარებასა გაუჩ[ი]ნეთ ჩ(უე)ნ ამა პ(ა)ტი(ო)სნისა ჯ(უარ)ისა მონასტრისაი მამ(ა)მ(ა)ნ ი(ოა)ნე მოძღ(უა)რმ(ა)ნ და სრ(უ)ლად ერთსულებით კრებულმ(ა)ნ თქ(უე)ნ ვარდანის ძ[...]დაასა და ასულსა მარი(ა)მ ყო[ფილსა...] (ე. მეტრეველი, 1962: 78 # 75). როგორც ე. მეტრეველი წერს ეს აღაპი შეუდგენიათ "ვარდანის ძ(ისა) დაასა(!) და ასულისა მარიამისთვის. " მკვლევრის დასკვნით, აღნიშნული აღაპი XV საუკუნის მეორე მეოთხედით თარიღდება (ე. მეტრეველი, 1962: 148).

დასკვნა. წარმოდგენილი მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქსნის ერისთავეს წმინდა მიწასთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ შალვა ქვენიფნეველის მოღვაწეობის დროიდან(XIII საუკუნის ბოლო, XIV საუკუნის დასაწყისი). ერისთავთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები მატერიალურად ეხმარებოდნენ ქართულ სასულიერო ცენტრებს, ამას ადასტურებს მათ სახელზე დაწესებული აღაპები. უაღრესად საინტერესოა XVIII საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის ცნობა, რომლის მიხედვით ქვენიფნეველ ფეოდალებს პალესტინაში წმინდა დიმიტრის სახელობის მონასტერი აუშენებიათ.

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები

ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება : ტომი IV. თბილისი.

მეტრეველი, ე. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ.

გაბაშვილი, ტ. (1956). მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი.

ჯაფარიძე, გ. (2008). XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ.

ჟორდანია, თ. (1897). ქრონიკები, II, ტფ.

კაკაბაძე, ს. (1914). წვრილი შტუდიები, თბ.

მამისთვალიშვილი, ე. (2016). იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ.

მეტრეველი, ე. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., # 63.

მეტრეველი, ე. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., # 75.

ნინიძე, დ., სანაძე, მ. (1999). ჰოვპანავანქის მონასტრის ეკვდერის წარწერა და ალასტანელი "პროვინციის მეფეთა" ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, # 3. თბ.

ღუნაშვილი, (2007). ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია. თბ.

სოსიაშვილი, გ. (2012). თავხელისძე-მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ სავანეებთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, # 3.

სოსიაშვილი, გ. (2021) სამაჩაბლოს ისტორია, თბ.

თაყაიშვილი, ე. (1909). საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ.

თაყაიშვილი, ე. (1910). საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ.

ხუციშვილი, ნ. (2006). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.

მესხია, შ. (1954). ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, ნაკვ. 30.

References

Batonishvili, V. (1973). *arwera samefosa saqarTvelosa* (Description of the Kingdom of Georgia).

Gabashvili, T. (1956). *mimosvla* (travels), prepared the text for publication, research, glossary and search terms attached to By E. Metreveli.

Ghunashvili, (2007). *ksnis xeobis politikuri istoria* (Political history of Saeristavo of Ksani), Vol.1.

Japaridze, G. (2008). *XIV s. ierusalimis wminda jvaris monastris istoriis ori arabuli dokumenti, axlo aRmosavleTi da saqarTvelo* (XIV Two Arabic Documents of the History of the Monastery of the Holy Cross, Jerusalem, Middle East and Georgia), Tb.

Jordan, T. (1897). *qronikebi* (Chronicles), II, Tf.

Kakabadze, S. (1914). *tsvrili shtudoebi* (Short Studies), Tb.,

Khutsishvili, N. (2006). ierusalimis jvris monastris mitsatmflobeloba saqarTveloshi (Land Tenure of Jerusalem Cross Monastery in Georgia).

Mamistvalishvili, E. (2016). *ierusalilimis tsminda jvris monastery* (Holy Cross Monastery of Jerusalem), Tb.,

Meskhia, S. (1954). *Zegli erisTavTa, qsnis erisTavTa sagvareulo matiane, nakv. 30* (Monument of nobles, genealogical record of nobles of Ksani, part 30).

Metreveli, E. (1962). *masalebi ierusalimis qarTuli koloniis istoriisaTvis* (Materials for the history of the Georgian colony of Jerusalem), Tb.,

Metreveli, E. (1962). *masalebi ierusalimis qarTuli koloniis istoriisaTvis(XI-XVII ss.),* (Materials for the history of the Georgian colony of Jerusalem (XI-XVII centuries)), volume, # 63.

Metreveli, E. (1962). *masalebi ierusalimis qarTuli koloniis istoriisaTvis(XI-XVII ss.),* (Materials for the history of the Georgian colony of Jerusalem (XI-XVII centuries)), volume, # 75.

Ninidze, D. Sanadze, M. (1999). *hovpanavanqis monastris ekvderis warwera da alastaneli "provinciis mefeTa" istoriis zogierTi sakiTxi, saqarTvelos mecnierebaTa akademiis macne, istoriis seria, # 3* (Hovpanavanki Monastery's Equder Inscription and Some Issues in the History of the Alastan "Provincial Kings", Bulletin of the Georgian Academy of Sciences, History Series, #3).

Sosiashvili, G. (2012). *TavxelisZe-machablebis urTierToba ierusalimis qarTul savaneebTan, goris saxelmwifo universitetis istoriisa da arqeologiis centri, ShromaTa krebuli, # 3* (The relationship of Tavkhelisdze-Machables with the Georgian holy places of Jerusalem, Center of History and Archeology of Gori State University, collection of works, # 3).

Sosiashvili, G. (2021). samachablos istoria (History of Samachablo), Tb.

Takaishvili, E. (1909). *sakartvelos sizveleni* (Antiquities of Georgia), Vol. II, Tb.

Takaishvili, E. (1910). *sakartvelos sizveleni* (Antiquities of Georgia), vol. III, Tb.